
ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენცია
მოქმედ ჯარში დაჯარილთა და ავადმყოფთა
მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ

ჟენევის 1949 წლის კონვენციები და მათი დამატებითი ოქმები.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, 2008 წ. 390 გვ.

ჟენევის ოთხი კონვენცია წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთა მონაწილეც თითქმის ყველა სახელმწიფოა.

კონვენციები იცავს მოქმედ ჯარში დაჭრილებსა და ავადმყოფებს, საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილებს, ავადმყოფებსა და ხომადლის დაღუპვაში მოყოლილ პირებს, სამხედრო ტყვეებს, აგრეთვე, სამოქალაქო მოსახლეობას, რომელიც საერთაშორისო კონფლიქტის დროს აღმოჩნდა უცხო სახელმწიფოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე. ჟენევის ოთხივე კონვენციისათვის საერთო მე-3 მუხლი უზრუნველყოფს არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა მინიმალურ დაცვას.

I დამატებითი ოქმი ეხება და განსაზღვრავს საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს და ადგენს სამხედრო მოქმედებების შედეგებისაგან სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის პრინციპებს. II დამატებითი ოქმი ავსებს და ავრცობს არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვის პრინციპს. III დამატებითი ოქმი კი ეხება დამატებითი განმასხვავებელი ემბლემის მიღებას.

წითელი ჯვრის
საერთაშორისო კომიტეტი
2008 წელი



ICRC

**ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენცია მოქმედ ჯარში
დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ**

**თავი I
ზოგადი დებულებები**

მუხლი 1	–	კონვენციის პატივისცემა.....	5
მუხლი 2	–	კონვენციის გამოყენება.....	5
მუხლი 3	–	საერთაშორისო ხასიათის არმქონე კონფლიქტები.....	6
მუხლი 4	–	ნეიტრალური სახელმწიფოების მიერ გამოყენება.....	7
მუხლი 5	–	მოქმედების ხანგრძლივობა	7
მუხლი 6	–	სპეციალური შეთანხმებები	7
მუხლი 7	–	უფლებებზე უარის თქმის დაუშვებლობა	7
მუხლი 8	–	მფარველი სახელმწიფოები	8
მუხლი 9	–	წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საქმიანობა	8
მუხლი 10	–	მფარველი სახელმწიფოების შემცვლელები	8
მუხლი 11	–	მორიგების პროცედურა	9

**თავი II
დაჭრილები და ავადმყოფები**

მუხლი 12	–	მფარველობა და ზრუნვა.....	10
მუხლი 13	–	დაცვის ქვეშ მყოფი პირები.....	11
მუხლი 14	–	სტატუსი.....	12
მუხლი 15	–	დაჭრილთა, ავადმყოფთა და დაღუპულთა ძეგნა. ევაკუაცია	12
მუხლი 16	–	ინფორმაციის რეგისტრაცია და გადაცემა	12
მუხლი 17	–	გარდაცვლილებთან დაკავშირებული ნორმები. საფლავთა რეგისტრაციის სამსახური.....	13
მუხლი 18	–	მოსახლეობის როლი	14

**თავი III
სანიტარული ფორმირებები და დაწესებულებები**

მუხლი 19	–	დაცვა	15
მუხლი 20	–	ჰოსპიტალური ხომალდების დაცვა	15
მუხლი 21	–	სანიტარული დაწესებულებებისა და ფორმირებების დაცვის შეწყვეტა	15
მუხლი 22	–	სანიტარული ფორმირებებისა და დაწესებულებების დაცვის შეწყვეტის დაუშვებლობის გარემოებები ...	16
მუხლი 23	–	სანიტარული ზონები და ადგილები	16

თავი IV პირადი შემადგენლობა

მუხლი 24	–	მუდმივი პერსონალის დაცვა	17
მუხლი 25	–	დამხმარე პერსონალის დაცვა	17
მუხლი 26	–	დახმარების აღმომჩენი საზოგადოებების პერსონალი	17
მუხლი 27	–	ნეიტრალური ქვეყნების საზოგადოებები	18
მუხლი 28	–	დაკავებული პერსონალი	18
მუხლი 29	–	დამხმარე პერსონალის სტატუსი.....	19
მუხლი 30	–	სამედიცინო და სასულიერო პერსონალის დაბრუნება.....	19
მუხლი 31	–	პერსონალის შერჩევა დასაბრუნებლად	20
მუხლი 32	–	ნეიტრალური ქვეყნების კუთვნილი პერსონალის დაბრუნება	20

თავი V შენობა-ნაგებობები და ნივთები

მუხლი 33	–	შენობა-ნაგებობები და საწყობები	21
მუხლი 34	–	დახმარების აღმომჩენი საზოგადოებების ქონება ..	21

თავი VI სანიტარული ტრანსპორტი

მუხლი 35	–	დაცვა	21
მუხლი 36	–	სანიტარული საჰაერო ხომალდი	22
მუხლი 37	–	ნეიტრალურ ქვეყნებზე გადაფრენა. დაჭრილთა ჩამოსხმა	22

თავი VII ბანმასხვავებელი ემბლემა

მუხლი 38	–	კონვენციის ემბლემა	23
მუხლი 39	–	ემბლემის გამოყენება	23
მუხლი 40	–	სამედიცინო და სასულიერო პერსონალის იდენტიფიკაცია	24
მუხლი 41	–	დამხმარე პერსონალის იდენტიფიკაცია	24
მუხლი 42	–	სანიტარული ფორმირებებისა და დაწესებულებების აღნიშვნა	25
მუხლი 43	–	ნეიტრალური ქვეყნების ფორმირებების აღნიშვნა	25
მუხლი 44	–	ემბლემის გამოყენების შეზღუდვა. გამონაკლისები.....	25

თავი VIII
კონვენციის შესრულება

მუხლი 45	–	ზედმიწევნით შესრულება. გაუთვალისწინებელი შემთხვევები	26
მუხლი 46	–	რეპრესალიების აკრძალვა.....	27
მუხლი 47	–	კონვენციის გავრცელება	27
მუხლი 48	–	თარგმანები. გამოყენების წესები	27

თავი IX
ბოროტად გამოყენებისა და დარღვევების აღკვეთა

მუხლი 49	–	სისხლისსამართლებრივი სანქციები: I. ზოგადი დებულებები	27
მუხლი 50	–	II. უხეში დარღვევები	28
მუხლი 51	–	III. ხელშემკერელი მხარეების პასუხისმგებლობა	28
მუხლი 52	–	გამოძიების პროცედურა	28
მუხლი 53	–	ემბლეის ბოროტად გამოყენება	29
მუხლი 54	–	ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება	29

დასკვნითი დებულებები

მუხლი 55	–	ენები	30
მუხლი 56	–	ხელმოწერა	30
მუხლი 57	–	რეტიფიკაცია	30
მუხლი 58	–	ძალაში შესვლა	30
მუხლი 59	–	წინამორბედ კონვენციებთან მიმართება	30
მუხლი 60	–	მიერთება	31
მუხლი 61	–	შეტყობინება მიერთების შესახებ	31
მუხლი 62	–	დაუყოვნებლივ ძალაში შესვლა	31
მუხლი 63	–	დენონსაცია	31
მუხლი 64	–	გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რეგისტრაცია	32

დანართი I
სანიტარული ზონებისა და ადგილების შესახებ შეთანხმების

პროექტი	32
---------------	----

დანართი II

მოქმედ ჯართან მიმაგრებული სამედიცინო და სასულიერო პერსონალის წევრთა პირადობისწევრთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობისდამადასტურებელი მოწმობის ფორმა	36
--	----

მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა დახმარების შესახებ უნევის 1929 წლის 27 ივლისის კონვენციის გადასინჯვის მიზნით, 1949 წლის 21 აპრილიდან 12 აგვისტოს ჩათვლით უნევაში მიმდინარე დიპლომატიური კონფერენციის მონაწილე მთავრობათა უფლებამოსილი ქვემოთ ხელისმომწერი წარმომადგენლები შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1

მაღალი ხელშეკრული მხარეები ვალდებულია კისრულობენ ნებისმიერ გარემოებაში შეასრულონ და უზრუნველყონ წინამდებარე კონვენციის შესრულება.

მუხლი 2

იმ დებულებათა გარდა, რომლებიც უნდა მოქმედებდეს მშვიდობიან დროს, წინამდებარე კონვენცია გამოიყენება გამოცხადებული ომის ყველა შემთხვევაში ან ნებისმიერი სხვა სახის შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ორ ან რამდენიმე მაღალ ხელშეკრულ მხარეს შორის, მაშინაც კი, როცა ერთ-ერთი მხარე არ ცნობს საომარ მდგომარეობას.

კონვენცია აგრეთვე გამოიყენება მაღალი ხელშეკრული მხარის ტერიტორიის ნაწილობრივი ან მთლიანი ოკუპაციის ყველა შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა აღნიშნულ ოკუპაციას შეიარაღებულ წინააღმდეგობას არ უწევს.

თუ კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი სახელმწიფო არ არის წინამდებარე კონვენციის მხარე, ის სახელმწიფოები, რომლებიც კონვენციის მხარეები არიან, ერთმანეთს შორის ურთიერთობებში კვლავაც კონვენციით შეზღუდულნი რჩებიან. ამასთან, ისინი კონვენციით შეზღუდულნი იქნებიან ზემოაღნიშ-

ნული სახელმწიფოს მიმართაც, თუ ეს უკანასკნელი ცნობს და გამოიყენებს მის დებულებებს.

მუხლი 3

ერთ-ერთი ხელშემკერელი მხარის ტერიტორიაზე მიმდინარე საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის დროს კონფლიქტის მონაწილე ყოველი მხარე ვალდებულია გამოიყენოს, სულ მცირე, შემდეგი დებულებანი:

(1) პირები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა ჩათვლით, რომლებმაც დაყარეს იარაღი და რომლებიც ავადმყოფობის, დაჭრის, დაკავების ან ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო აღარ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, ყველა შემთხვევაში უნდა სარგებლობდნენ ჰუმანური მოპყრობით რასის, კანის ფერის, რელიგიის ან რწმენის, სქესის, წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის ან ნებისმიერ სხვა მსგავს კრიტერიუმზე დაფუძნებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

ამ მიზნით, აკრძალულია და ყველგან და ყოველთვის, აკრძალული იქნება ზემოაღნიშნულ პირთა მიმართ შემდეგი ქმედებების განხორციელება:

(ა) პირის სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფა, კერძოდ, ნებისმიერი სახის მკვლელობა, დასახინჩრება, სასტიკი მოპყრობა და წამება;

(ბ) მძევლად აყვანა;

(გ) ღირსების შელახვა, კერძოდ, შეურაცხყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა;

(დ) სამართალში მიცემა და სასჯელის აღსრულება სათანადო წესით დაფუძნებული სასამართლოს მიერ გამოტანილი წინასწარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, ცივილიზებული თანამეგობრობის მიერ სავალდებულოდ აღიარებული სასამართლო გარანტიების გათვალისწინებით;

(2) დაჭრილებსა და ავადმყოფებს თავი უნდა მოუყარონ და აღმოუჩინონ სათანადო დახმარება.

მიუკერძოებელ ჰუმანიტარულ ორგანიზაციას, მაგალითად წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს, შეუძლია კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შესთავაზოს თავისი სამსახური.

გარდა ამისა, კონფლიქტის მონაწილე მხარეები შეეცდებიან, სპეციალური შეთანხმებების გზით შეასრულონ წინამდებარე კონვენციის ყველა ან ცალკეული დებულება.

ზემოაღნიშნულ დებულებათა გამოყენებას არ ექნება გავლენა კონფლიქტის მონაწილე მხარეთა სამართლებრივ სტატუსზე.

მუხლი 4

ნეიტრალური სახელმწიფოები წინამდებარე კონვენციის დებულებებს ანალოგიურად გამოიყენებენ კონფლიქტის მონაწილე მხარეების შეიარაღებული ძალების იმ დაჭრილებისა და ავადმყოფების, სამედიცინო და სასულიერო პერსონალის მიმართ, რომლებიც მიღებული ან ინტერნირებულნი არიან მათ ტერიტორიაზე, იგივე ვრცელდება ნაპოვნი ცხედრების მიმართაც.

მუხლი 5

მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრილი დაცვის ქვეშ მყოფი პირების მიმართ წინამდებარე კონვენცია მოქმედებს მათ საბოლოო რეპატრაციამდე.

მუხლი 6

მე-10, მე-15, 23-ე, 28-ე, 31-ე, 36-ე, 37-ე და 52-ე მუხლებით საგანგებოდ გათვალისწინებული შეთანხმებების გარდა, მაღალ ხელშეკრულ მხარეებს შეუძლიათ დადონ სხვა სპეციალური შეთანხმებები ნებისმიერ ისეთ საკითხზე, რომლის ცალკეულ მოგვარებასაც ისინი მიზანშეწონილად ჩათვლიან. არც ერთმა ასეთმა სპეციალურმა შეთანხმებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს ავადმყოფთა და დაჭრილთა, სამედიცინო პერსონალისა და სამხედრო სასულიერო პირების წინამდებარე კონვენციით განსაზღვრულ მდგომარეობას და არ უნდა შეზღუდოს მათთვის კონვენციით მინიჭებული უფლებები.

ავადმყოფები და დაჭრილები, აგრეთვე სამედიცინო და სასულიერო პერსონალი სარგებლობენ ამ შეთანხმებებით მინიჭებული უპირატესობებით მანამდე, სანამ მათზე ვრცელდება კონვენციის მოქმედება, გამოწვევისაა შემთხვევები, როდესაც ზემოაღნიშნული ან მომდევნო შეთანხმებები შეიცავს მკაფიოდ გამოხატულ საპირისპირო დებულებებს, ან კონფლიქტის მონაწილე რომელიმე მხარის მიერ უფრო ხელსაყრელი ღონისძიებებია დაწესებული.

მუხლი 7

ავადმყოფებს და დაჭრილებს, აგრეთვე სამედიცინო და სასულიერო პერსონალს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვან იმ უფლებებზე, რომლებიც მათთვის წინამდებარე კონვენციით არის უზრუნველყოფილი ან, მათი არსებობის შემთხვევაში, გათვალისწინებულია წინა მუხლში მითითებული სპეციალური შეთანხმებებით.

მუხლი 8

წინამდებარე კონვენციის გამოყენება ეფუძნება იმ მაღალი ხელშემკერელი მხარეების თანამშრომლობასა და კონტროლს, რომელთაც ეკისრებათ კონფლიქტის მონაწილე მხარეების ინტერესთა დაცვა. ამ მიზნით, მფარველ სახელმწიფოებს, თავიანთი დიპლომატიური ან საკონსულო პერსონალის გარდა, შეუძლიათ საკუთარი ან სხვა ნეიტრალური სახელმწიფოს მოქალაქეთაგან დელეგატების დანიშვნა. ამ დელეგატების დასა-
ნიშნად საჭიროა იმ ქვეყნის თანხმობა, სადაც მათ მისია უნდა შეასრულონ.

კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებს ან დელეგატებს მუშაობის განხორციელებისას შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი.

მფარველი სახელმწიფოების წარმომადგენლები ან დელეგატები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასცდნენ მათი მისიის წინამდებარე კონვენციით განსაზღვრულ ფარგლებს. კერძოდ, მათ მხედველობაში უნდა მიიღონ იმ სახელმწიფოს უსაფრთხოების აუცილებელი მოთხოვნები, სადაც თავიანთ მისიას ასრულებენ.

მუხლი 9

წინამდებარე კონვენციის დებულებები დაბრკოლებას არ წარმოადგენს დაჭრილთა და ავადმყოფთა, ისევე როგორც სამედიცინო და სასულიერო პერსონალის დაცვისა და მათთვის დახმარების აღმოჩენის მიზნის მქონე ჰუმანიტარული საქმიანობისათვის, რომელიც, კონფლიქტის მონაწილე დაინტერესებული მხარეების თანხმობით, შესაძლებელია განხორციელოს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა ან ნებისმიერმა სხვა მიუკერძოებელმა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ.

მუხლი 10

მაღალ ხელშემკერელ მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ შეთანხმდნენ და სრული მიუკერძოებლობის და ქმედითობის გარანტიის მიძღვმ ორგანიზაციას ანდონ წინამდებარე კონვენციით მფარველი სახელმწიფოსათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება.

თუ დაჭრილებსა და ავადმყოფებს ან სამედიცინო პერსონალსა და სამხედრო სასულიერო პირებს რაიმე მიზეზით არ ვრცელდება ან აღარ ვრცელდება მფარველი სახელმწიფოს ან პირველ პარაგრაფში

მითითებული ორგანიზაციის საქმიანობა, სახელმწიფომ, რომლის ხელისუფლებაშიც იმყოფებიან დაცვის ქვეშ მყოფი პირები, თხოვნით უნდა მიმართოს ნეიტრალურ სახელმწიფოს ან ასეთ ორგანიზაციას, რათა მან თავის თავზე აიღოს კონფლიქტის მონაწილე მხარეების მიერ დასახელებული მფარველი სახელმწიფოს მიერ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება.

თუ ამგვარი გზით ვერ მოხერხდება მფარველობის განხორციელება, სახელმწიფომ, რომლის ხელისუფლებაშიც იმყოფებიან დაცვის ქვეშ მყოფი პირები, წინამდებარე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, თხოვნით უნდა მიმართოს, ან მიიღოს რომელიმე ჰუმანიტარული ორგანიზაციის, მაგალითად ისეთის როგორიცაა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, წინადადება თავის თავზე აიღოს წინამდებარე კონვენციის შესაბამისად, მფარველი სახელმწიფოებისათვის დაკისრებული ჰუმანიტარული ფუნქციების შესრულება.

ამ მიზნით დაინტერესებული სახელმწიფოს მიერ მოწვეული ან საკუთარი სამსახურის შემთავაზებელი ნებისმიერი ნეიტრალური სახელმწიფო ან ორგანიზაცია პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოქმედებდეს კონფლიქტის მონაწილე იმ მხარის მიმართ, რომელზეც დამოკიდებულნი არიან წინამდებარე კონვენციის დაცვის ქვეშ მყოფი პირები, და წარმოადგინოს სათანადო გარანტიები იმისა, რომ მას შეუძლია შესაბამისი ფუნქციების თავის თავზე აღება და მათი მიუკერძოებლად შესრულება.

დაუშვებელია ზემოთაღნიშნული დებულებების დარღვევა სახელმწიფოთა შორის დადებული სპეციალური შეთანხმებების საფუძველზე, როცა საომარი მდგომარეობის გამო თუნდაც დროებით შეზღუდულია ერთ-ერთი ამ სახელმწიფოს შესაძლებლობა თავისუფლად აწარმოოს მოლაპარაკება სხვა სახელმწიფოსთან ან მის მოკავშირეებთან, განსაკუთრებით, თუ ოკუპირებულია ამ სახელმწიფოს მთელი ტერიტორია ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი.

წინამდებარე კონვენციაში მფარველი სახელმწიფოს სახელწოდებაში ყველგან იგულისხმება ზემოთხსენებული მუხლით გათვალისწინებული მისი შემცველი ორგანიზაციაც.

მუხლი 11

დაცვის ქვეშ მყოფი პირების ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით კი კონფლიქტის მხარეთა შორის მოცემული კონვენციის დებულებათა გამოყენების ან განმარტების თაობაზე უთანხმოების არსებობის შემთხვევაში, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, მფარველი სახელმწიფოები კეთილ სამსახურს გაუწევენ მხარეებს აღნიშნული უთანხმოებების მოსაგვარებლად.

ამ მიზნით, თითოეულ მფარველ სახელმწიფოს შეუძლია ერთ-ერთი მხარის თხოვნით თუ საკუთარი ინიციატივით შესთავაზოს კონფლიქ-

ტის მონაწილე მხარეებს მათი წარმომადგენლების, კერძოდ კი დაჭრილებსა და ავადმყოფებს, ისევე როგორც სამედიცინო და სასულიერო პერსონალზე პასუხისმგებელ ხელისუფალთა შეხვედრა სათანადოდ შერჩეულ ნეიტრალურ ტერიტორიაზე. კონფლიქტის მონაწილე მხარეები ვალდებული არიან შეასრულონ მიღებული შემოთავაზებები. საჭიროების შემთხვევაში, მფარველ სახელმწიფოებს შეუძლიათ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს მხარდასაჭერად წარუდგინონ ნეიტრალური სახელმწიფოს წარმომადგენელი ან წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, რომელიც მოწვეული იქნება აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად.

თავი II დაჭრილები და ავადმყოფები

მუხლი 12

შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა და მომდევნო მუხლში მითითებული სხვა პირები, დაჭრის ან ავადმყოფობის შემთხვევაში, ყველა გარემოებაში უნდა სარგებლობდნენ მფარველობითა და დაცვით.

კონფლიქტის მონაწილე მხარე, რომლის ხელთაც იმყოფებიან აღნიშნული პირები, მათ უზრუნველყოფს ჰუმანური მოპყრობითა და მოვლით სქესის, რასის, ეროვნების, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებებისა თუ სხვა მსგავს კრიტერიუმებზე დაფუძნებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. მკაცრად იკრძალება მათი სიცოცხლისა და პიროვნების ხელყოფა; კერძოდ, მათი მოკვლა ან განადგურება, წამება ან მათზე ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩატარება, წინასწარი განზრახვით სამედიცინო მომსახურებისა და მოვლის გარეშე მიტოვება, ასევე პირობების განზრახ შექმნა მათი დასნებოვანებისათვის.

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის თანმიმდევრობაში უპირატესობის მინიჭება დასაშვებია მხოლოდ გადაუდებელი ხასიათის სამედიცინო მიზეზებით.

ქალებს უნდა მოეპყრონ მათი სქესისათვის შესაფერისი განსაკუთრებული პატივისცემით.

კონფლიქტის მონაწილე მხარემ, რომელიც იძულებულია მოწინააღმდეგეს დაუტოვოს დაჭრილები და ავადმყოფები, მათი მოვლის მიზნით უნდა დატოვოს თავისი სამედიცინო პერსონალისა და ინვენტარის ნაწილი, იმდენად რამდენადაც აღნიშნულის საშუალებას იძლევა სამხედრო ინტერესები.

მუხლი 13

წინამდებარე კონვენცია გამოიყენება იმ დაჭრილებისა და ავადმყოფების მიმართ, რომლებიც შემდეგ კატეგორიებს განეკუთვნებიან:

(1) კონფლიქტის მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, ასევე ამ შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი სახალხო ლაშქრისა და მოხალისეთა რაზმების პირადი შემადგენლობა.

(2) სხვა ლაშქრებისა და მოხალისეთა რაზმების პირადი შემადგენლობა, იმ ორგანიზებული წინააღმდეგობის მოძრაობების პირადი შემადგენლობის ჩათვლით, რომლებიც ეკუთვნიან კონფლიქტის მონაწილე მხარეს და მოქმედებენ საკუთარ ტერიტორიაზე ან მის გარეთ. აღნიშნული ვრცელდება იმ შემთხვევაშიც როდესაც ეს ტერიტორია ოკუპირებულია, იმ პირობით, რომ აღნიშნული ლაშქრები და რაზმები, ორგანიზებული წინააღმდეგობის მოძრაობების ჩათვლით, აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

(ა) მათ ჰყავთ მეთაური, რომელიც პასუხს აგებს ხელქვეითებზე;

(ბ) აქვთ განსაზღვრული, შორიდან გასარჩევი განმასხვავებელი ნიშანი;

(გ) ღიად ატარებენ იარაღს;

(დ) თავიანთი ოპერაციების განხორციელებისას მოქმედებენ ომის კანონებისა და ჩვეულებების შესაბამისად.

(3) რეგულარული შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, რომელიც იმ მთავრობის ან ხელისუფლების დაქვემდებარებულად თვლის თავს, რომელსაც არ სცნობს მისი ტყვედ ამყვანი სახელმწიფო.

(4) შეიარაღებული ძალების თანმხლები, მაგრამ უშუალოდ მის შემადგენლობაში არმყოფი პირები, როგორებიც არიან სამხედრო თვითმფრინავების ეკიპაჟის სამოქალაქო წევრები, სამხედრო კორესპონდენტები, მომმარაგებლები, შეიარაღებული ძალების საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფებისა და სამსახურების წევრები, იმ პირობით, რომ მათ ამისათვის მიღებული აქვთ იმ შეიარაღებული ძალების ნებართვა, რომელსაც ისინი თან ახლავან.

(5) კონფლიქტის მონაწილე მხარეთა სავაჭრო ფლოტის გემების ეკიპაჟის წევრები, კაპიტნების, ლოცმანებისა და იუნგების ჩათვლით, აგრეთვე სამოქალაქო ავიაციის ეკიპაჟი, რომლებიც საერთაშორისო სამართლის რაიმე სხვა დებულებათა ძალით მოპყრობის უფრო შედეგათიან რეჟიმით არ სარგებლობენ.

(6) არაოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობა, რომელიც მოწინააღმდეგის მოახლოებისას სტიქიურად იღებს ხელში იარაღს შემოჭრილი ძალებისთვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით, მაგრამ ვერ ასწრებს რეგულარულ შეიარაღებულ შენაერთებად ფორმირებას, იმ პირობით, რომ ღიად ატარებს იარაღს და იცავს ომის კანონებსა და ჩვეულებებს.

მუხლი 14

მე-12 მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრილი მეომარი მხარის დაჭრილები და ავადმყოფები სამხედრო ტყვეებად ჩაითვლებიან და მათ მიმართ გამოიყენება სამხედრო ტყვეებთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის ნორმები.

მუხლი 15

ნებისმიერ დროს, განსაკუთრებით კი ბრძოლის შემდეგ, კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა დაყოვნების გარეშე უნდა მიიღონ ყველა შესაძლებელი ზომა დაჭრილთა და ავადმყოფთა მოსაძებნად და გამოსაყვანად, რათა დაიცვან ისინი გაძარცვისა და უდიერად მოპყრობისაგან, უზრუნველყონ მათი სათანადო მოვლა, ასევე მოძებნონ გარდაცვლილები მათი გაძარცვის თავიდან ასაცილებლად.

ყოველთვის, როცა ამის შესაძლებლობა იქნება, უნდა დაიდოს შეთანხმება ზავის ან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ან შედგეს ადგილობრივი შეთანხმებები, რათა შესაძლებელი გახდეს ბრძოლის ველზე დარჩენილი დაჭრილების გამოყვანა, გაცვლა და ტრანსპორტირება.

ანალოგიურად, კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის შეიძლება დაიდოს ადგილობრივი შეთანხმებები ალყაშემორტყმული ან გარშემორტყმული ზონიდან დაჭრილთა და ავადმყოფთა გაყვანის ან გაცვლის შესახებ, აგრეთვე ამ ზონაში მიმავალი სამედიცინო და სასულიერო პერსონალისა და ალტურვილობის შემწეების თაობაზე.

მუხლი 16

კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში უნდა განახორციელონ ყველა მონაცემის რეგისტრაცია, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ხელში ჩავარდნილი, მოწინააღმდეგე მხარის დაჭრილთა, ავადმყოფთა და გარდაცვლილთა ვინაობის დადგენას.

ამ ცნობებში, შეძლებისდაგვარად, უნდა შედიოდეს შემდეგი მონაცემები:

- (ა) სახელმწიფო, რომელსაც ეკუთვნის ეს პირი;
- (ბ) სამხედრო, დანაყოფის, პირადი ან სერიული ნომერი;
- (გ) გვარი;
- (დ) სახელი ან სახელები;
- (ე) დაბადების თარიღი;
- (ვ) ყველა სხვა ცნობა, რომელიც მის პირადობის მოწმობაში ან ამოსაცნობ მედალიონშია მოცემული;
- (ზ) დატყვევების ან გარდაცვალების თარიღი და ადგილი;

(თ) მონაცემები დაჭრის, ავადმყოფობის ან გარდაცვალების მიზეზების შესახებ.

ზემოთაღნიშნული მონაცემები შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში უნდა გადაეცეს სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის 122-ე მუხლით გათვალისწინებულ ცნობათა ბიუროს. მფარველი სახელმწიფოს ან სამხედრო ტყვეების საქმეთა ცენტრალური სააგენტოს მეშვეობით მიღებულ მონაცემებს ბიურო გადასცემს სახელმწიფოს, რომელსაც ეს პირები ეკუთვნიან.

კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა უნდა მოამზადონ და ამავე ბიუროს მეშვეობით ერთმანეთს გადაუგზავნონ გარდაცვალების მოწმობები ან გარდაცვლილთა სათანადოდ დამოწმებული სიები. ისინი აგროვებენ და იმავე ბიუროს მეშვეობით ერთმანეთს გადასცემენ ორმაგი ამოსაცნობი მედალიონების ნახევარს, ანდერძებს და სხვა დოკუმენტებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს გარდაცვლილთა ახლო ნათესავებისათვის, ასევე ფულს და ყველანაირი სუბიექტური ან ობიექტური ფასეულობის მქონე ნივთს, რომლებიც გარდაცვლილს უპოვეს. ეს და სხვა ამოუცნობი ნივთები გადაიგზავნება დალუქულ შეკვრაში, რომელთაც თან ერთვის გარდაცვლილთა ვინაობის დასადგენი აუცილებელი მონაცემებისა და ამანათის შემადგენლობის სრული ნუსხა.

მუხლი 17

კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გარდაცვლილთა დასაფლავება ან კრემაცია მოხდეს შეძლებისდაგვარად ინდივიდუალურად და მას წინ უძღოდეს საგულდაგულო, თუ შესაძლებელია, სამედიცინო გამოკვლევა სიკვდილის კონსტატაციის, ვინაობის დადგენისა და ამის შესახებ შესაძლო ანგარიშის წარდგენის მიზნით. ორმაგი ამოსაცნობი მედალიონის ერთი ნახევარი ან თავად მედალიონი, თუ ის განუყოფელია, სხეულზე უნდა დარჩეს.

ცხედრების კრემაცია დასაშვებია მხოლოდ სამედიცინო ჰიგიენის განსაკუთრებული მოსაზრებებით ან მიცვალებულთა რელიგიური მრწამსთან დაკავშირებული მოტივებით. კრემაციის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია, მათ შორის კრემაციის მიზეზების მითითებით, უნდა იყოს აღნიშნული გარდაცვალების შესახებ ცნობაში ან მიცვალებულთა დამოწმებულ სიაში.

გარდა ამისა, კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა უნდა უზრუნველყონ მიცვალებულების ღირსეულად, შეძლებისამებრ მათი რელიგიური წესების დაცვით, დაკრძალვა, მათი საფლავებისათვის პატივის მიგება, შეძლებისდაგვარად გარდაცვლილთა საფლავების ნაციონალური კუთვნილების მიხედვით დაჯგუფება, მათი შესაბამისი მოვლა და იმგვარად აღნიშვნა, რომ ყოველთვის იყოს შესაძლებელი მათი მოძებნა. ამ მიზნით კონფლიქტის მონაწილე მხარეები საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე ქმნიან სასაფლაოთა რეგისტრაციის ოფიციალურ სამ-

სახურს, რათა მომავალში შესაძლებელი გახდეს ექსპუმაცია და უზრუნველყოფილი იყოს, საფლავების ადგილმდებარეობისდა მიუხედავად, ცხედართა ამოცნობა და სამშობლოში მათი შესაძლო გადასვენება. იგივე ეხება მიცვალებულთა ფერფლსაც, რომელსაც მიცვალებულთა სამშობლოს სურვილის მიხედვით, სათანადო განკარგულების გაცემამდე, სასაფლაოთა რეგისტრაციის ოფიციალური სამსახური ინახავს.

როგორც კი შესაძლებელი იქნება, მაგრამ არა უგვიანეს საომარი მოქმედებების დასრულებისა, აღნიშნული სამსახურები, მე-16 მუხლის მეორე პარაგრაფში მითითებული ცნობათა ბიუროს მეშვეობით გაცვლიან სიებს, რომლებშიც მითითებული იქნება საფლავთა ზუსტი ადგილმდებარეობა და ნიშანი, ისევე როგორც დაკრძალულთა შესახებ მონაცემები.

მუხლი 18

სამხედრო ხელისუფლებას შეუძლია კაცთმოყვარეობისაკენ მოუწოდოს ადგილობრივ მოსახლეობას და სთხოვოს, რომ მოხალისეებმა, მისივე ზედამხედველობის ქვეშ, შეაგროვონ დაჭრილები და მოუარონ ავადმყოფებს. ის პირები, რომლებიც ამ მოწოდებას გამოეხმაურებიან უზრუნველყოფილი იქნებიან სათანადო დაცვითა და პირობებით. მოწინააღმდეგე მხარემ მოცემულ რაიონზე თავისი კონტროლის დადგენის ან აღდგენის შემთხვევაში აღნიშნულ პირებს უნდა მიაწოდოს მსგავსი დაცვა და უზრუნველყოს იგივე პირობებით.

სამხედრო ხელისუფლებამ მოსახლეობასა და საქველმოქმედო საზოგადოებებს მოწინააღმდეგის შემოჭრის ან ოკუპაციის რაიონებშიც კი უნდა მისცეს დაჭრილებისა და ავადმყოფების, თავის სურვილისამებრ შეგროვებისა და მოვლის ნებართვა მიუხედავად მათი ეროვნული კუთვნილებისა. სამოქალაქო მოსახლეობა პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს ამ დაჭრილებსა და ავადმყოფებს, კერძოდ, თავი შეიკავოს მათ მიმართ ძალადობის გამოვლენისგან.

დაუშვებელია ვინმეს დევნა ან გასამართლება იმის გამო, რომ იგი დაჭრილებს ან ავადმყოფებს უვლიდა.

წინამდებარე მუხლის დებულებები ოკუპანტ სახელმწიფოს არ ათავისუფლებს დაჭრილებისა და ავადმყოფებისათვის მორალური და ფიზიკური ზრუნვის ვალდებულებისაგან.

თავი III სანიტარული ფორმირებები და დაწესებულებები

მუხლი 19

დაუშვებელია თავდასხმა მუდმივმოქმედ სანიტარულ დაწესებულებებსა და სამედიცინო სამსახურის მოძრავ სანიტარულ ფორმირებებზე. ისინი ყოველთვის უნდა სარგებლობდნენ კონფლიქტის მონაწილე მხარეების მხრიდან მფარველობითა და დაცვით. მოწინააღმდეგის ხელში ჩაგარდნისას, სამედიცინო პერსონალი განაგრძობს საქმიანობას ანამდე, სანამ მათი ხელში ჩამგდები სახელმწიფო თავად არ უზრუნველყოფს აღნიშნულ დაწესებულებებსა და ფორმირებებში მყოფი დაჭრილებისა და ავადმყოფების სათანადო მოვლას.

პასუხისმგებელი ორგანოები იზრუნებენ იმაზე, რომ ზემოხსენებული სანიტარული დაწესებულებები და ფორმირებები შეძლებისამებრ ისე განლაგდნენ, რომ სამხედრო ობიექტებზე თავდასხმის შემთხვევაში მათ არ შეექმნათ საფრთხე.

მუხლი 20

დაუშვებელია ხმელეთიდან თავდასხმა ჰოსპიტალურ ხომალებზე, რომლებიც სარგებლობენ საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილთა, ავადმყოფთა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის დაცვით.

მუხლი 21

დაცვა, რომლითაც მუდმივი სანიტარული დაწესებულებები და სამედიცინო სამსახურის მოძრავი სანიტარული ფორმირებები სარგებლობენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეწყდეს, როდესაც მოცემული დაწესებულებები გამოიყენება მოწინააღმდეგისათვის ზიანის მისაყენებლად, მათი ჰუმანიტარული ვალდებულებების ფარგლებს მიღმა, გამოიყენება. ამასთანავე, დაცვა შეიძლება შეწყდეს მხოლოდ შესაბამისი გაფრთხილების შემდეგ, რომელიც, ყველა შესაბამის შემთხვევაში, გონივრულ ვადას აწესებს და მას შემდეგ მოქმედებს, რაც ამგვარი გაფრთხილება შედეგს არ გამოიღებს.

მუხლი 22

სანიტარული ფორმირებების ან დაწესებულებებისათვის მე-19 მუხლით გარანტირებული დაცვის შეწყვეტის საფუძველად არ ჩაითვლება შემდეგი გარემოებები:

(1) სამედიცინო ფორმირების ან დაწესებულების პირადი შემადგენლობა შეიარაღებულია და თავისი იარაღით სარგებლობს თავდაცვის ან თავისი დაჭრილებისა და ავადმყოფების დასაცავად;

(2) შეიარაღებული სანიტრების არყოფნის გამო ფორმირებას ან დაწესებულებას იცავს პიკეტი, გუშაგი ან მცველთა რაზმი;

(3) სანიტარულ ფორმირებასა თუ დაწესებულებაში ნაპოვნი იქნება დაჭრილებისა და ავადმყოფებისათვის ჩამორთმეული სასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის შესაბამისი სამსახურისათვის გადაცემული;

(4) ფორმირებასა თუ დაწესებულებაში იმყოფება ვეტერინარული სამსახურის პირადი შემადგენლობა და ქონება, რომელიც არ არის მისი უშუალო შემადგენელი ნაწილი;

(5) სამედიცინო ფორმირებებისა და დაწესებულებების, ან მათი პერსონალის ჰუმანიტარული მოღვაწეობა ვრცელდება დაჭრილ და ავადმყოფ სამოქალაქო პირებზეც.

მუხლი 23

მშვიდობიან პერიოდში მაღალ ხელშემკერე მხარეებს, ხოლო საომარი მოქმედებების დაწყების შემდგომ – კონფლიქტის მონაწილე მხარეებს, შეუძლიათ თავის ტერიტორიაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ოკუპირებულ ტერიტორიაზეც, შექმნან სანიტარული ზონები და ადგილები, რომლებიც იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ საომარი მოქმედებებისაგან დაიცვას დაჭრილები და ავადმყოფები, ასევე პერსონალი, რომელსაც აკისრია ამ ზონებისა და ადგილების მოწყობა და მართვა, აგრეთვე მათში თავმოყრილ პირთა მოვლა.

საომარი მოქმედებების დაწყებისა და მიმდინარეობისას დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ დადონ შეთანხმებები მათ მიერ შექმნილი სანიტარული ზონებისა და ადგილების ურთიერთშეტყობინების შესახებ. ამ მიზნით, მათ შეუძლიათ ისარგებლონ წინამდებარე კონვენციაზე თანდართული შეთანხმების პროექტში მითითებული დებულებებით და იმ ცვლილებებით, რომელთა შეტანასაც აუცილებლად ჩათვლიან.

მფარველი სახელმწიფოები და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი მოწვეული იქნებიან კეთილი სამსახურის გასაწევად ასეთი სანიტარული ზონებისა და ადგილების შექმნისა და ცნობის გასაადვილებლად.

თავი IV პირადი შემადგენლობა

მუხლი 24

სამედიცინო პერსონალი, რომელიც დაჭრილთა და ავადმყოფთა მოძიების, შეგროვების, გადაყვანის ან მკურნალობის, ასევე დაავადებების თავიდან აცილების განსაკუთრებულ ფუნქციებს ასრულებს, აგრეთვე პერსონალი, რომელსაც გააჩნია სანიტარული ფორმირებისა და დაწესებულებების მართვის განსაკუთრებული დანიშნულება, ისევე როგორც შეიარაღებულ ძალებს მიკუთვნებული სასულიერო პირები, ყველა გარემოებაში პატივისცემითა და დაცვით უნდა სარგებლობდნენ.

მუხლი 25

შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, რომელიც სპეციალურად არის მომზადებული, რათა საჭიროების შემთხვევაში იმსახუროს დამხმარე სანიტრებად ან მზიდავებად, დაჭრილებისა და ავადმყოფების მოძიების, შეგროვების, გადაყვანის ან მკურნალობის მიზნით, თანაბარი პატივისცემით და დაცვით სარგებლობენ მათ მიერ ამ მოვალეობათა განხორციელების მომენტში მოწინააღმდეგესთან უშუალო კონტაქტისას ან მის ხელში ჩავარდნისთანავე.

მუხლი 26

თავისი მთავრობის მიერ სათანადოდ აღიარებული და უფლებამოსილი წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოებებისა და დახმარების სხვა ნებაყოფლობითი საზოგადოებების პირადი შემადგენლობა, რომელიც გამოიყენება 24-ე მუხლში მითითებული პირადი შემადგენლობის ფუნქციების ანალოგიური ფუნქციების განხორციელებისათვის, უთანაბრდება ზემოაღნიშნულ მუხლში მითითებულ პირად შემადგენლობას, სამხედრო კანონებისა და განკარგულებებისადმი დამორჩილების პირობით.

ზემოაღნიშნულ საზოგადოებათა ფაქტობრივად გამოყენების დაწყებამდე, თითოეული მაღალი ხელშემკრელი მხარე, იქნება ეს მშვიდობიან დროს, საომარი მოქმედებების დაწყებისას თუ მიმდინარეობისას, მეორე მხარეს აცნობებს იმ საზოგადოებების დასახელებას, რომელთაც ის, საკუთარი პასუხისმგებლობით მიანიჭებს თავისი შეიარაღებული ძალების რეგულარული სანიტარული სამსახურისათვის დახმარების გაწევის უფლებამოსილებას.

მუხლი 27

ნეიტრალური ქვეყნის აღიარებულ საზოგადოებას კონფლიქტის მონაწილე მხარისათვის საკუთარი სანიტარული პერსონალით ან ფორმირებებით დახმარების გაწევა შეუძლია მხოლოდ თავისი მთავრობის წინასწარი თანხმობითა და საკუთრივ კონფლიქტის მონაწილე მხარის ნებართვით. აღნიშნული სანიტარული პერსონალი და ფორმირებები კონფლიქტის მონაწილე მხარის კონტროლის ქვეშ ექცევიან.

ნეიტრალური სახელმწიფოს მთავრობა მისი თანხმობის შესახებ აცნობებს დახმარების მიმღები სახელმწიფოს მოწინააღმდეგე მხარეს. კონფლიქტის მონაწილე მხარე, რომელიც დახმარების მიღებაზე თანხმდება, ვალდებულია შეატყობინოს ეს მოწინააღმდეგე მხარეს მანამდე, სანამ ამ დახმარებით სარგებლობას დაიწყებს.

აღნიშნული დახმარება არავითარ შემთხვევაში არ უნდა განიხილებოდეს როგორც კონფლიქტში ჩარევა.

პირველ პარაგრაფში აღნიშნული პერსონალი სათანადოდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი მე-40 მუხლით გათვალისწინებული პირადობის მოწმობებით მანამდე, სანამ დატოვებს იმ ნეიტრალური ქვეყნის ტერიტორიას, რომელსაც ის ეკუთვნის.

მუხლი 28

მოწინააღმდეგე მხარის ხელში მოხვედრილი 24-ე და 26-ე მუხლებში მითითებული პერსონალი დატოვებული იქნება მანამდე, სანამ ამას სამხედრო ტყვეთა სამედიცინო მდგომარეობა, სულიერი მოთხოვნილებები და რაოდენობა მოითხოვს.

ამგვარად დატოვებული პერსონალის წევრები სამხედრო ტყვეებად არ ჩაითვლებიან, მაგრამ ისინი, სულ მცირე, ისარგებლებენ სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციით გათვალისწინებული ყველა დებულებით. ზემოაღნიშნული პერსონალის წევრები, მათი დამკავებელი ქვეყნის სამხედრო კანონებისა და განკარგულებების ფარგლებში, ამ ქვეყნის კომპეტენტური სამსახურის ხელმძღვანელობით და პროფესიული ეთიკის შესაბამისად აგრძელებენ თავიანთი სამედიცინო და სასულიერო ვალდებულებების შესრულებას უპირატესად იმ შეიარაღებული ძალების სამხედრო ტყვეების სასარგებლოდ, რომელთაც თავად ეკუთვნიან. გარდა ამისა, თავიანთი სამედიცინო და სასულიერო მოვალეობების შესრულების მიზნით, ისინი სარგებლობენ შემდეგი შეღავათებით:

(ა) უფლებამოსილი არიან პერიოდულად მოინახულონ ბანაკის გარეთ, სამუშაო ბანაკებსა და ჰოსპიტლებში მყოფი სამხედრო ტყვეები. ამ მიზნით, ტყვედ ამყვანი სახელმწიფო მათი სარგებლობისათვის გამოყოფს საჭირო სატრანსპორტო საშუალებებს.

(ბ) ყოველ ბანაკში რანგით და სტაჟით უფროსი სამხედრო ექიმი

ბანაკის სამხედრო ხელისუფლების წინაშე პასუხისმგებელია დაკავებული სანიტარული პერსონალის პროფესიულ საქმიანობაზე. ამ მიზნით, საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე კონფლიქტის მონაწილე მხარეები ერთმანეთს უთანხმებენ სანიტარული პერსონალისა და 26-ე მუხლში მითითებულ საზოგადოებათა პერსონალის წოდებათა თანაფარდობას. აღნიშნულ ექიმს, ისევე როგორც სასულიერო პირებს, შესაძლებლობა ექნებათ ბანაკის სამხედრო და სამედიცინო ხელისუფლებას, რომელიც ამ უკანასკნელთ შეუქმნის ამ საკითხზე კორესპონდენციის საწარმოებლად სათანადო პირობებს, უშუალოდ მიმართონ საკუთარ პროფესიულ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.

(გ) მიუხედავად იმისა, რომ დაკავებული პერსონალი უნდა დაემორჩილოს ბანაკის შინაგანაწესს, დაუშვებელია მათი იძულება შეასრულონ ნებისმიერი სამუშაო, რომელიც არ არის დაკავშირებული მის სამედიცინო ან რელიგიურ მოვალეობებთან.

საომარი მოქმედებების დროს კონფლიქტის მონაწილე მხარეები თანხმდებიან დაკავებული პერსონალის შესაძლო გათავისუფლებაზე და აღგენენ გათავისუფლების პროცედურას.

არც ერთი ზემოაღნიშნული დებულება არ ათავისუფლებს ტყვედ ამყვან სახელმწიფოს მასზე დაკისრებული მოვალეობებისაგან სამხედრო ტყვეთა სამედიცინო და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

მუხლი 29

25-ე მუხლში მითითებული პერსონალი მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრისას ისარგებლებს სამხედრო ტყვის სტატუსით, თუმცა, საჭიროების მიხედვით მოხდება მათი გამოყენება სანიტარული მოვალეობების შესასრულებლად.

მუხლი 30

პერსონალი, რომელთა დაკავება არ არის აუცილებელი 28-ე მუხლის მიხედვით, უნდა დაუბრუნდნენ კონფლიქტის მონაწილე იმ მხარეს, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, და ეს უნდა მოხდეს მაშინვე როგორც კი გაიხსნება მათ დასაბრუნებლად გზა და საომარი მდგომარეობა ამას შესაძლებელს გახდის.

დაბრუნების მოლოდინში ისინი არ ჩაითვლებიან სამხედრო ტყვეებად, თუმცა, მიუხედავად ამისა, ისარგებლებენ სულ მცირე, სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციით გათვალისწინებული შედგაფებით. მოწინააღმდეგე მხარის ზედამხედველობით ისინი გააგრძელებენ თავიანთი მოვალეობების შეს-

რულებას. მათ უპირატესად კონფლიქტის მონაწილე იმ მხარის დაჭრილთა და ავადმყოფთა მოსავლელად გამოიყენებენ, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან.

გამგზავრებისას მათ თან მიაქვთ კუთვნილი ნივთები, პირადი ქონება, ძვირფასეულობა და ინსტრუმენტები.

მუხლი 31

30-ე მუხლის თანახმად დასაბრუნებელი პერსონალის შერჩევა არ უნდა ემყარებოდეს რასობრივ, რელიგიურ ან პოლიტიკურ მოსაზრებებს, იგი უპირატესად მათი დაკავების ვადის ხანგრძლივობისა და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან უნდა გამომდინარეობდეს.

სამხედრო მოქმედების დაწყებისთანავე მონაწილე მხარეებს სპეციალური შეთანხმებებით შეუძლიათ დაადგინონ დასაკავებელი პერსონალის პროცენტული რაოდენობა, რომელიც ტყვეთა რაოდენობისა და ბანაკებში მათი განაწილების პროპორციული იქნება.

მუხლი 32

მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრილი 27-ე მუხლში მითითებული პირების დაკავება დაუშვებელია.

სხვაგვარი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში მათ ნებას დართავენ დაუბრუნდნენ საკუთარ ქვეყანას ან, თუ ეს შეუძლებელია, დაბრუნდნენ კონფლიქტის მონაწილე იმ მხარის ტერიტორიაზე, რომლის სამსახურშიც ისინი იმყოფებოდნენ; აღნიშნული უნდა მოხდეს მაშინვე, როგორც კი გაიხსნება დასაბრუნებელი გზა და სამხედრო თვალსაზრისით ეს შესაძლებელი გახდება.

გათავისუფლების მოლოდინში, მოწინააღმდეგე მხარის ზედამხედველობით, ისინი განაგრძობენ მუშაობას უპირატესად კონფლიქტის მონაწილე იმ მხარის დაჭრილებისა და ავადმყოფების მოსავლელად, რომლის სამსახურშიც ისინი იმყოფებოდნენ.

გამგზავრებისას აღნიშნული პირები თან წაიღებენ კუთვნილ ნივთებს, პირად ქონებას, ძვირფასეულობას, ინსტრუმენტებს, იარაღს და, თუ შესაძლებელია, მათ კუთვნილ გადაადგილების საშუალებებსაც.

კონფლიქტის მონაწილე მხარეები ამ პერსონალს, ვიდრე იგი მათი ზედამხედველობის ქვეშაა, ისევე უზრუნველყოფენ საკვებით, საბინაო პირობებით, ფინანსებითა და ხელფასებით, როგორც თავიანთი შეიარაღებული ძალების შესაბამის პერსონალს. საკვები თავისი რაოდენობით, ხარისხითა და მრავალფეროვნებით ისეთი უნდა იყოს, რომ უზრუნველყოს ამ პერსონალის ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობა.

თავი V შენობა-ნაგებობებში და ნივთები

მუხლი 33

შეიარაღებული ძალების მოძრავი სანიტარული ფორმირებების მოწინააღმდეგის ხელში ჩაგარდნილი ქონება, შენარჩუნებული იქნება დატყრილთა და ავადმყოფთა მოსავლელად.

მუდმივ სანიტარულ დაწესებულებათა შენობა-ნაგებობები, ქონება და საწყობები ომის კანონების რეგულაციების საგნად რჩება. მანამდე, სანამ არსებობს მათი გამოყენების საჭიროება დატყრილთა და ავადმყოფთა მოსავლელად, დაუშვებელია მათი გამოყენება სხვა დანიშნულებით. მიუხედავად ამისა, უკიდურესი სამხედრო აუცილებლობისას, მოქმედი ჯარის ნაწილების მეთაურებს შეუძლიათ აღნიშნული შენობა-ნაგებობებისა და ნივთების გამოყენება იმ პირობით, რომ მათ წინასწარ უზრუნველყონ სათანადო პირობები დატყრილებისა და ავადმყოფებისათვის.

დაუშვებელია წინამდებარე მუხლში მითითებული ქონებისა და საწყობების წინასწარი განზრახვით განადგურება.

მუხლი 34

დახმარების აღმოჩენს საზოგადოებათა ის მოძრავი და უძრავი ქონება, რომლებზეც ვრცელდება ამ კონვენციით დაწესებული შეღავათები ითვლება კერძო საკუთრებად.

მებრძოლთათვის ომის კანონებითა და ჩვეულებებით გათვალისწინებული რეკვიზიციის უფლება მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს, ისიც მას შემდეგ, რაც უზრუნველყოფილი იქნება დატყრილთა და ავადმყოფთა კეთილდღეობა.

თავი VI სანიტარული ტრანსპორტი

მუხლი 35

ტრანსპორტი, რომელშიც დატყრილები და ავადმყოფები იმყოფებიან ან მოთავსებულია სამედიცინო აღჭურვილობა, ისეთივე მფარველობითა და დაცვით უნდა სარგებლობდეს, როგორითაც მოძრავი სანიტარული ფორმირებები.

ასეთი ტრანსპორტი და გადასაცემი საშუალებები, მოწინააღმდეგის ხელში ჩაგარდნის შემთხვევაში, დაექვემდებარება ომის კანონების მოქმედებას იმ პირობით, რომ მათი ხელში ჩამგდები, კონფლიქტის მონაწილე მხარე ყველა გარემოებაში იზრუნებს მასში მყოფ დაჭრილებსა და ავადმყოფებზე.

სამოქალაქო პერსონალი და რეკვიზიციის წესით მოპოვებული ყველა სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება საერთაშორისო სამართლის ზოგად ნორმებს.

მუხლი 36

არ შეიძლება თავდასხმა სანიტარულ საჰაერო ხომალდებზე, ანუ აპარატებზე, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ დაჭრილთა და ავადმყოფთა ევაკუაციისათვის და სანიტარული პერსონალისა და აღჭურვილობის ტრანსპორტირებისათვის. ისინი უნდა სარგებლობდნენ მეომარი მხარეების პატივისცემით იმ პირობით, რომ ფრენას აწარმოებენ კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე სპეციალურად გათვალისწინებულ სიმაღლეზე, დროსა და მარშრუტებზე.

ეროვნული დროშის ფერებთან ერთად, ქვედა, ზედა და გვერდით სიბრტყეებზე მათ უნდა ჰქონდეთ 38-ე მუხლში მითითებული მკაფიოდ განსაზღვრული განმასხვავებელი ნიშანი. ამასთანავე, უნდა ჰქონდეთ საომარი მოქმედებების დასაწყისში ან მათი მიმდინარეობისას მეომარ მხარეთა შეთანხმებით დადგენილი ნებისმიერი სახის სხვა ნიშანი ან ამოსაცნობი საშუალებები. თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, მოწინააღმდეგის ან მოწინააღმდეგის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფრენა აკრძალულია.

სანიტარული საჰაერო ხომალდები უნდა დაემორჩილონ დაშვების ნებისმიერ მოთხოვნას. მოთხოვნის შედეგად დაშვების შემთხვევაში შესაძლო შემოწმების შემდეგ, საჰაერო ხომალდი თავისი მგზავრებითურთ შეძლებს ფრენის გაგრძელებას.

მოწინააღმდეგის ან მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე იძულებით დაშვების შემთხვევაში, ეკიპაჟი, ისევე როგორც დაჭრილები და ავადმყოფები სარგებლობენ სამხედრო ტყვის სტატუსით. სანიტარულ პერსონალს უნდა მოეპყრონ. 24-ე და მომდევნო მუხლების შესაბამისად.

მუხლი 37

კონფლიქტის მონაწილე მხარეების სანიტარულ საჰაერო ხომალდებს, წინამდებარე მუხლის მეორე პარაგრაფში მითითებული პირობების მიხედვით, შეუძლიათ გადაიფრინონ ნეიტრალური ქვეყნების ტერიტორიაზე და დაფრინდნენ აუცილებლობის შემთხვევაში ან შუალედური შესვენებისათ-

ვის. მათ წინასწარ უნდა აცნობონ ნეიტრალურ სახელმწიფოებს მათ ტერიტორიაზე გადაფრენის შესახებ და დაემორჩილონ დაფრენის ან წყალზე დაშვების ყოველგვარ მოთხოვნას. ისინი თავდასხმისაგან დაცული იქნებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც დაინტერესებულ ნეიტრალურ სახელმწიფოებსა და კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შორის შეთანხმებულ სიმაღლეზე, მარშრუტითა და საათებში იფრენენ.

თუმცა, ნეიტრალურ სახელმწიფოებს შეუძლიათ დააწესონ თავიანთ ტერიტორიებზე სანიტარული ხომალდის ფრენის ან დაფრენის პირობები ან შეზღუდვები, რომლებიც კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარის მიმართ თანაბრად იქნება გამოყენებული.

თუ ნეიტრალურ სახელმწიფოსა და კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, ადგილობრივი ხელისუფლების თანხმობით, ნეიტრალურ ტერიტორიაზე სანიტარული საჰაერო ხომალდიდან გადმოყვანილი დაჭრილები და ავადმყოფები ნეიტრალურმა სახელმწიფომ, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, იმგვარად უნდა დააკავოს, რომ მათ ვეღარ შეძლონ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა. აღნიშნულ დაჭრილთა და ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაციასა და ინტერნირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო, რომელზეც ისინი დამოკიდებულნი არიან.

თავი VII

განმასხვავებელი ემბლემა

მუხლი 38

შვეიცარიის მიმართ პატივისცემის აღსანიშნავად, თეთრ ფონზე წითელი ჯვრის ჰერალდიკური ნიშანი, შედგენილი ფედერალურ ფერთა საპირისპირო განლაგებით, შენარჩუნებულია შეიარაღებული ძალების სამედიცინო სამსახურის ემბლემად და განმასხვავებელ ნიშნად.

ამასთანავე, იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებიც განმასხვავებელი ნიშნის სახით წითელი ჯვრის მაგივრად უკვე იყენებენ თეთრ ფონზე გამოსახულ წითელ ნახევარმთვარეს ან წითელ ღომსა და მხეს, ეს ემბლემები ასევე აღიარებულია წინამდებარე კონვენციით.

მუხლი 39

კომპეტენტურ სამხედრო ხელისუფალთა კონტროლის ქვეშ, ემბლემა გამოსახული იქნება დროშებზე, სამკლავურებსა და სანიტარული სამსახურის კუთვნილ ყველა აღჭურვილობაზე.

მუხლი 40

24-ე, 26-ე და 27-ე მუხლებში აღნიშნული პერსონალი მარცხენა ხელზე ატარებს წყალგამძლე სამკლაურს, რომელზეც გამოსახულია განმასხვავებელი ემბლემა და რომელიც სამხედრო ხელისუფლების ორგანოების მიერ ბეჭდითაა დამოწმებული და გაცემული.

ამ პერსონალს, მე-16 მუხლში მითითებული პირადობის დამადასტურებელი მედალიონის გარდა, აქვს პირადობის სპეციალური მოწმობა განმასხვავებელი ემბლემით. ეს მოწმობა უნდა იყოს წყალგამძლე და ისეთი ზომის, რომ შეიძლებოდეს მისი ჯიბით ტარება. მოწმობა უნდა შეივსოს შესაბამისი ქვეყნის ენაზე და მასში, სულ მცირე, მითითებული უნდა იყოს მფლობელის გვარი და სახელი, დაბადების წელი, სამხედრო წოდება და ნომერი, ასევე, აღნიშნული უნდა იყოს თუ რა სტატუსით აქვს მას წინამდებარე კონვენციის დაცვით სარგებლობის უფლება. მოწმობაზე უნდა იყოს მფლობელის ფოტოსურათი, მისი ხელმოწერა ან თითების ანაბეჭდი, ან ორივე ერთად. მოწმობა სამხედრო ხელისუფლების რელიეფური ბეჭდით უნდა იყოს დამტკიცებული.

ჯარს შიგნით უნდა არსებობდეს ერთნაირი პირადობის დამადასტურებელი მოწმობები, შეძლებისამებრ, ერთი ტიპის უნდა იყოს მაღალი ხელშემკვრელი მხარეების შეიარაღებულ ძალებში არსებული მოწმობებიც. კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ წინამდებარე კონვენციაზე თანდართული ნიმუშით. საომარი მოქმედებების დაწყებისას ისინი ერთმანეთს აცნობებენ მათ მიერ გამოყენებულ ნიმუშს. ყოველი მოწმობა, შეძლებისდაგვარად, უნდა დამზადდეს არანაკლებ ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთს ის სახელმწიფო შეინახავს, რომელსაც ეს პირი ეკუთვნის.

ზემოაღნიშნულ პერსონალს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამოერთვას განმასხვავებელი ნიშნები ან პირადობის მოწმობა, ისევე როგორც სამკლაურის ტარების უფლება. მათი დაკარგვის შემთხვევაში, მას უფლება აქვს მიიღოს მოწმობისა და განსხვავების ნიშნების დუბლიკატები.

მუხლი 41

25-ე მუხლში მითითებული პერსონალი მხოლოდ სამედიცინო მოვალეობების შესრულების დროს ატარებს თეთრ სამკლაურს, რომელსაც ცენტრში აქვს მცირე ზომის განმასხვავებელი ნიშანი. ეს სამკლაური სამხედრო ხელისუფალთა მიერ ბეჭდითაა დამოწმებული და გაცემული.

ამ პერსონალის სამხედრო მოწმობებში იქნება მითითება მფლობელის მიერ სამედიცინო მომზადების გავლის, მისი მოვალეობების დროებითი ხასიათის და სამკლაურის ტარების უფლების შესახებ.

მუხლი 42

კონვენციის განმასხვავებელი დროშა შეიძლება აღიმართოს მხოლოდ იმ სანიტარული ფორმირებებისა და დაწესებულებების თავზე, რომლებსაც იცავს კონვენცია და ისიც მხოლოდ სამხედრო ხელისუფლების თანხმობით.

მოძრავ ფორმირებებსა და მუდმივ დაწესებულებებზე კონვენციის დროშასთან ერთად შეიძლება აღიმართოს კონფლიქტის მონაწილე იმ ქვეყნის ეროვნული დროშა, რომელსაც მოცემული ფორმირება ან დაწესებულება ეკუთვნის.

მიუხედავად ამისა, მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრილი სანიტარული ფორმირებები მხოლოდ კონვენციის დროშას აღმართავენ.

კონფლიქტის მონაწილე მხარეები, შესაძლებლობის ფარგლებში და სამხედრო მდგომარეობის გათვალისწინებით, მიიღებენ აუცილებელ ზომებს რათა თავიდან აიცილონ შესაძლებელი სამხედრო მოქმედები და შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფენ რომ სანიტარული ფორმირებებისა და დაწესებულებების აღმნიშვნელ განმასხვავებელ ემბლემებს მკაფიოდ არჩევდნენ მოწინააღმდეგის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალები.

მუხლი 43

ნეიტრალური ქვეყნების სანიტარულმა ფორმირებებმა, რომლებიც 27-ე მუხლის პირობების თანახმად დაშვებული არიან ერთ-ერთი მეომარი მხარისათვის დახმარების აღმოსაჩენად, კონვენციის დროშასთან ერთად ამ მეომარი მხარის ეროვნული დროშაც უნდა აღმართონ, თუკი ეს უკანასკნელი 42-ე მუხლით მინიჭებული უფლებებით სარგებლობს.

შესაბამისი სამხედრო ხელისუფლების საწინააღმდეგო ხასიათის ბრძანების არსებობის შემთხვევების გარდა, მათ ნებისმიერ გარემოებაში შეუძლიათ აღმართონ მათი ეროვნული დროშა, მაშინაც კი, თუ ისინი მოწინააღმდეგის ხელში აღმოჩნდებიან.

მუხლი 44

გარდა წინამდებარე მუხლის შემდგომ პარაგრაფებში მითითებული შემთხვევებისა, თეთრ ფონზე წითელი ჯვრის ემბლემა და სიტყვები „წითელი ჯვარი“ ან „უენევის ჯვარი“, მშვიდობიანობის ან ომის დროს შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ წინამდებარე კონვენციით და ანალოგიური საკითხების შესახებ არსებული სხვა კონვენციებით დაცული სანიტარული ფორმირებების და დაწესებულებების, პერსონალის და ქონების აღსანიშნავად და დასაცავად. იგივე ეხება 38-ე

მუხლის მეორე პარაგრაფში მითითებულ ემბლემებს იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებიც იყენებენ მათ. წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოებები და 26-ე მუხლში მითითებული სხვა საზოგადოებები წინამდებარე პარაგრაფის დებულებათა ფარგლებში უფლებამოსილი იქნებიან ისარგებლონ ამ კონვენციის დაცვის მიმნიჭებული განმასხვავებელი ემბლემით.

გარდა ამისა, წითელი ჯვრის (წითელი ნახევარმთვარის, წითელი ლომისა და მზის) ეროვნულ საზოგადოებებს შეუძლიათ მშვიდობიან დროს, თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ისარგებლონ წითელი ჯვრის ემბლემითა და სახელით იმ საქმიანობების განხორციელებისას, რომელიც შეესაბამება წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენციების მიერ ფორმულირებულ პრინციპებს. როდესაც ასეთი საქმიანობა ომის პერიოდში ხორციელდება, ემბლემა ისე უნდა იყოს გამოყენებული, რომ არ წარმოშვას კონვენციის დაცვის მინიჭების მიზნით მისი გამოყენების ვარაუდი; ემბლემა უნდა იყოს შედარებით მცირე ზომის და არ უნდა გამოისახოს სამკლაურებზე და შენობათა სახურავებზე.

წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათი სათანადოდ უფლებამოსილი პერსონალისათვის ნებადართული იქნება თეთრ ფონზე გამოსახული წითელი ჯვრის ემბლემით ნებისმიერ დროს სარგებლობა.

გამონაკლისი ზომის სახით, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად და წითელი ჯვრის (წითელი ნახევარმთვარის, წითელი ლომისა და მზის) ერთ-ერთი ეროვნული საზოგადოების სპეციალური ნებართვით, კონვენციის ემბლემის გამოყენება შეიძლება მშვიდობიანობის პერიოდში სანიტარული სატრანსპორტო საშუალებებისა და დაჭრილთა და ავადმყოფთა უსასყიდლოდ დახმარებისათვის განკუთვნილი პუნქტების აღგილმდებარეობის აღსანიშნად.

თავი VIII კონვენციის შემოწმება

მუხლი 45

კონფლიქტის მონაწილე თითოეულმა მხარემ თავისი მთავარსარდლობის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული მუხლების ზედმიწევნით შესრულება და იზრუნოს გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე წინამდებარე კონვენციის ზოგადი პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 46

აკრძალულია რეპრესალიები კონვენციით დაცული დაჭრილების, ავადმყოფების, პერსონალის, შენობება-ნაგებობებისა და აღჭურვილობის წინააღმდეგ.

მუხლი 47

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულია იღებენ, როგორც მშვიდობიან, ისე ომის დროს, რაც შეიძლება ფართოდ გაავრცელონ წინამდებარე კონვენციის ტექსტი თავიანთ ქვეყნებში და, კერძოდ, მისი სწავლება შეიტანონ სამხედრო და, შეძლებისამებრ, სამოქალაქო სასწავლო პროგრამებში, რათა მის პრინციპებს გაეცნოს მთელი მოსახლეობა და, კერძოდ, მებრძოლი შეიარაღებული ძალები, სამედიცინო და სამხედრო სასულიერო პერსონალი.

მუხლი 48

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, შევიცარიის ფედერალური საბჭოს მეშვეობით, ხოლო ომის დროს მფარველი სახელმწიფოების დახმარებით ერთმანეთს გადასცემენ წინამდებარე კონვენციის ოფიციალურ თარგმანთა ტექსტებს, ასევე კანონებსა და დადგენილებებს, რომელიც შესაძლოა მის განსახორციელებლად მიიღონ.

თავი IX

ბოროტად გამოყენებისა და ღარღვევების აღკვეთა

მუხლი 49

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულია იღებენ შემოიღონ ისეთი კანონმდებლობა, რომელიც დააწესებს ეფექტურ სისხლის-სამართლებრივ სასჯელებს მომდევნო მუხლში განსაზღვრული უხეში დარღვევების ჩადენი ან ასეთი დარღვევის ჩადენის ბრძანების გამცემაში პირების წინააღმდეგ.

თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია ეძებოს პირები, რომელთაც ასეთი უხეში დარღვევების ჩადენა ან მათი ჩადენის ბრძანების გაცემა ედებათ ბრალად და მათი მოქალაქეობის მიუხედავად, გადასცეს ისინი შესაბამის სასამართლოს. ამასთანავე, მას შეუძლია, საკუთარი სურვილით და თავისი კანონმდებლობის თანახმად,

ამგვარი პირები სასამართლოს წინაშე წარსადგენად გადასცეს სხვა დაინტერესებულ მაღალ ხელშემკერედ მხარეს, იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელშემკერედი მხარე ფლობს ასეთი პირების ბრალდებისათვის საკმარის მტკიცებულებებს.

თითოეულმა მაღალმა ხელშემკერედმა მხარემ აუცილებელი ზომები უნდა მიიღოს წინამდებარე კონვენციის დებულებების საწინააღმდეგო ყველა იმ ქმედების აღსაკვეთად, რომელიც არ წარმოადგენს მომდევნო მუხლში განსაზღვრულ უხეშ დარღვევებს.

ბრალდებული პირები ყველა გარემოებაში უნდა სარგებლობდნენ სათანადო სასამართლო გარანტიებით და დაცვის უფლებით, რომლებიც არ უნდა იყოს იმაზე ნაკლები უფლებების დამდგენი, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის 105-ე და მომდევნო მუხლებით.

მუხლი 50

წინა მუხლში აღნიშნულ უხეშ დარღვევათა რიცხვს მიეკუთვნება დარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია ქვემოთჩამოთვლილ რომელიმე ქმედებასთან, იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიმართულია კონვენციის დაცვის ქვეშ მყოფი პირების ან ქონების წინააღმდეგ: წინასწარ განზრახვით მკვლელობა, წამება ან არაადამიანური მოპყრობა, მათ შორის ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩატარება, წინასწარი განზრახვით მძიმე ტანჯვის ან სერიოზული ზიანის მიყენება სხეულისთვის ან ჯანმრთელობისათვის, სამხედრო აუცილებლობის არ მქონე ფართო მასშტაბით წარმოებული უკანონო, თვითნებური ნგრევა და ქონების მითვისება.

მუხლი 51

არც ერთ მაღალ ხელშემკერედ მხარეს არ შეუძლია თავისი თავის ან რომელიმე სხვა მაღალი ხელშემკერედი მხარის გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან, რომელიც მას ან სხვა მაღალ ხელშემკერედ მხარეს ეკისრება წინა მუხლში მითითებულ დარღვევებთან მიმართებაში.

მუხლი 52

კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი მხარის თხოვნის საფუძველზე, დაინტერესებული მხარეების მიერ დაადგენილი პროცედურით, უნდა დაიწყოს გამოძიება კონვენციის სავარაუდო დარღვევების შესახებ.

თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან გამოძიების პროცედურაზე, ისინი ურთიერთშეთანხმებით აირჩევენ არბიტრს, რომელიც გადაწყვეტს პროცედურის საკითხს.

როგორც კი დაადგენენ დარღვევის ფაქტს, კონფლიქტის მონაწილე მხარეები აღკვეთენ მას და შეძლებისამებრ უმოკლეს ვადაში მიიღებენ ზომებს მისი ჩამდენის დასასჯელად.

მუხლი 53

იმ კერძო პირების, საზოგადოებრივი თუ კერძო საზოგადოებების, ფირმების ან კომპანიების მიერ, რომელთაც წინამდებარე კონვენციის თანახმად საამისო უფლებამოსილება არ გააჩნიათ, ემბლემათ ან „წითელი ჯვრის“ ან „ჟენევის ჯვრის“ ემბლემათ სარგებლობა, აგრეთვე მათდამი მიმსგავსებული ყოველგვარი ნიშნის ან ემბლემის გამოყენება, იკრძალება ნებისმიერ დროს, სარგებლობის მიზნისა თუ გამოყენების დასაწყისის მიუხედავად.

ფედერალურ ფერთა საპირისპირო განლაგების მიღებით შვეიცარიის მიმართ გამოხატული პატივისცემის ნიშნად და შვეიცარიის გერბის კონვენციით დადგენილ განმასხვავებელ ნიშანთან აღრევის თავიდან ასაცილებლად, კერძო პირების, საზოგადოებების ან ფირმების მიერ შვეიცარიის კონფედერაციის გერბით ან მისდამი მიმსგავსებული ნიშნებით სარგებლობა საწარმოო ან სავაჭრო ნიშნებად, ან ამ ნიშანთა შემადგენელ ნაწილებად, ასევე კომერციული კეთილსინდისიერების საწინააღმდეგო მიზნებით, ან იმგვარ პირობებში სარგებლობა, რომლებმაც შეიძლება შელახოს შვეიცარიელთა ეროვნული გრძნობები, იკრძალება ნებისმიერ დროს. მიუხედავად ამისა, მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს, რომლებიც აღრე სარგებლობდნენ პირველ პარაგრაფში აღნიშნული ემბლემათ, დასახელებებით, ნიშნებით ან აღნიშვნებით და არ იყვნენ ჟენევის 1929 წლის 27 ივლისის კონვენციის მონაწილენი, შეიძლება დაუწესდეთ მაქსიმალური ვადა სამი წლის სახით რათა შეწყვიტონ მათი გამოყენება. შესაწყვეტად, ვადა აითვლება წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან, იმ პირობით, რომ ამ ემბლემათ სარგებლობამ ომის დროს არ უნდა შექმნას კონვენციით გათვალისწინებული დაცვის მინიჭების შთაბეჭდილება.

წინამდებარე მუხლის პირველ პარაგრაფში გათვალისწინებული აკრძალვა, წინანდელი სარგებლობით მოპოვებულ უფლებებზე რაიმე ზეგავლენის მოხდენის გარეშე, მოქმედებს 38-ე მუხლის მეორე პარაგრაფში აღნიშნული ემბლემათისა და აღნიშვნების მიმართაც.

მუხლი 54

თუკი მაღალი ხელშემკვრელი მხარეების კანონმდებლობა აღარ შეესაბამება კონვენციას, ისინი ვალდებული არიან მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა ნებისმიერ დროს თავიდან აიცილონ და აღკვეთონ 53-ე მუხლში მითითებული ბოროტად გამოყენების შემთხვევები.

მუხლი 55

წინამდებარე კონვენცია შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია.

შეიცარიის ფედერალური საბჭო უზრუნველყოფს კონვენციის ოფიციალური თარგმანის შესრულებას რუსულ და ესპანურ ენებზე.

მუხლი 56

მოცემული რიცხვით დათარიღებული წინამდებარე კონვენცია 1950 წლის 12 თებერვლამდე ღიაა ხელმოსაწერად ყველა სახელმწიფოსათვის, რომლებიც მონაწილეობდნენ ქენევის 1949 წლის 21 აპრილს გახსნილ კონფერენციაში, აგრეთვე იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ამ კონფერენციაში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა დახმარების შესახებ ქენევის 1864, 1906 ან 1929 წლების კონვენციების მხარეები არიან.

მუხლი 57

წინამდებარე კონვენციის რატიფიკაცია მოხდება შეძლებისამებრ უმოკლეს ვადაში და სარატიფიკაციო სიგელები დეპონირდება ბერნში.

თითოეული სარატიფიკაციო სიგელის გაცემის შესახებ შედგება ოქმი, რომლის დამოწმებულ ასლებს შეეიცარიის ფედერალური საბჭო გადასცემს ყველა სახელმწიფოს, რომლის სახელითაც ხელი მოეწერა კონვენციას ან რომელმაც თანხმობა განაცხადა მიერთების თაობაზე.

მუხლი 58

წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა ექვსი თვის შემდეგ იმ მომენტიდან, რაც მოხდება არანაკლებ ორი სარატიფიკაციო სიგელის დეპონირება. ამის შემდეგ, თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარისათვის იგი ძალაში შევა მისი სარატიფიკაციო სიგელის დეპონირებიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი 59

წინამდებარე კონვენცია მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა შორის ურთიერთობისას ცვლის 1864 წლის 22 აგვისტოს, 1906 წლის 6 ივლისისა და 1929 წლის 27 ივლისის კონვენციებს.

მუხლი 60

წინამდებარე კონვენცია, ძალაში შესვლის დღიდანვე, ღიაა მიერთებისათვის ყველა სახელმწიფოსათვის, რომელსაც მასზე ხელი არ მოუწერია.

მუხლი 61

მიერთების შესახებ ყოველი შეტყობინება წერილობით უნდა ეცნობოს შევიცარიის ფედერალურ საბჭოს. მიერთება ძალაში შევა საბჭოს მიერ წერილობითი ცნობის მიღებიდან 6 თვის შემდეგ.

შევიცარიის ფედერალური საბჭო მიერთების შესახებ აცნობებს ყველა სახელმწიფოს, რომლის სახელითაც კონვენციას ხელი მოეწერა ან რომელმაც მიერთების თაობაზე განაცხადა.

მუხლი 62

დებონირებული სარატიფიკაციო სიგელები მეორე და მესამე მუხლებში მითითებული შემთხვევებისას, ასევე განცხადებები მიერთების შესახებ, რომლებიც კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა საომარი მოქმედებების ან ოკუპაციის დაწყებამდე, ან მის შემდეგ გააკეთეს დაუყოვნებლივ შედის ძალაში. შევიცარიის ფედერალური საბჭო სასწრაფოდ აცნობებს კონფლიქტის მონაწილე მხარეებისაგან მიღებულ სარატიფიკაციო სიგელებისა ან მიერთების შესახებ განცხადებების თაობაზე.

მუხლი 63

ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მოახდინოს წინამდებარე კონვენციის დენონსირება.

დენონსაციის შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს შევიცარიის ფედერალურ საბჭოს, რომელიც მას ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მთავრობას გადასცემს.

დენონსაცია ძალაში შევა შევიცარიის ფედერალური საბჭოს წერილობითი შეტყობინებიდან ერთი წლის შემდეგ. თუმცა, დენონსაცია, რომლის შესახებაც განცხადება გააკეთდა მაშინ, როცა მოცემული ქვეყანა კონფლიქტში იყო ჩართული, ძალაში შევა მხოლოდ მშვიდობის დამყარებისა და ამ კონვენციის დაცვის ქვეშ მყოფი პირების გათავისუფლებისა და რეპატრაციასთან დაკავშირებული ოპერაციების დასრულების შემდეგ.

დენონსაცია მოქმედებს მხოლოდ იმ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელმაც იგი მოახდინა. ამასთან, იგი არავითარ გავლენას არ მოახდენს ვალდებულებებზე, რომელთა შესრულება კონფლიქტის მო-

ნაწილზე მხარეებს კვლავაც ეკისრებათ საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე, ვინაიდან ისინი ცივილიზებულ ხალხთა შორის დამყარებული ჩვეულებებიდან, ჰუმანურობის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს და საზოგადოებრივი სინდისითაა ნაკარნახევი.

მუხლი 64

შვეიცარიის ფედერალური საბჭო წინამდებარე კონვენციის რეგისტრაციას ახდენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში. შვეიცარიის ფედერალური საბჭო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს აწვდის მის მიერ მიღებულ ყველა ცნობას წინამდებარე კონვენციის რატიფიცირების, დენონსაციის ან მასთან მიერთების შესახებ.

ამის დასტურად, სათანადო რწმუნებების წარმდგენმა ქვემოთ ხელის მომწერებმა, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შესრულებულია ჟენევაში 1949 წლის 12 აგვისტოს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ორიგინალი ინახება შვეიცარიის კონფედერაციის არქივებში, ხოლო დამოწმებულ ასლებს შვეიცარიის ფედერალური საბჭო გადასცემს თითოეულ სახელმწიფოს, რომელმაც კონვენციას ხელი მოაწერა ან მას მიუერთდა.

დანართი I

სანიტარული ზონებისა და აღბილების შესახებ შეთანხმების პროექტი

მუხლი 1

სანიტარული ზონები განკუთვნილია მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის 23-ე მუხლში ნახსენები პირებისათვის, ასევე პერსონალისათვის, რომელსაც ამ ზონებისა და აღბილების ორგანიზება, მართვა და ამ ზონებში მყოფ პირთა მოვლა ევალება.

მიუხედავად ამისა, პირებს, რომელთაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ამგვარი ზონების ტერიტორიაზე აქვთ, მიეცემათ ამ ზონებში დარჩენის უფლება.

მუხლი 2

არც ერთი პირი, რომელიც რაიმე მიზეზით იმყოფება სანიტარულ ზონაში, არ უნდა ასრულებდეს სამუშაოს, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული სამხედრო ოპერაციებთან ან სამხედრო მასალების დამზადებასთან, როგორც ზონის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 3

სახელმწიფო, რომელიც ქმნის სანიტარულ ზონას, მიიღებს ყველა შესაძლო ზომას, რათა ზონაში შესვლის ან ყოფნის უფლების არმქონე პირებს აკრძალოთ იქ შესვლა.

მუხლი 4

სანიტარული ზონები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს:

(ა) ისინი უნდა შეადგენდნენ მხოლოდ მცირე ნაწილს იმ ტერიტორიისა, რომელზეც კონტროლს მათი შემქმნელი სახელმწიფო ახორციელებს.

(ბ) შემდგომი შესაძლო დასახლების გამო, ისინი არ უნდა იყოს მჭიდროდ დასახლებული.

(გ) ისინი უნდა მდებარეობდნენ ყოველგვარი სამხედრო ობიექტისაგან, მსხვილი სამრეწველო ან ადმინისტრაციული დაწესებულებებისაგან მოშორებით, რომლებიც ასევე არ უნდა შედიოდნენ მათ შემადგენლობაში.

(დ) ისინი არ უნდა მდებარეობდნენ იმ რაიონებში, რომელიც, სავარაუდოდ, შეიძლება საომარი მოქმედებების წარმართვისათვის მნიშვნელოვანი გახდეს.

მუხლი 5

სანიტარული ზონების მიმართ გამოიყენება შემდეგი მოთხოვნები:

(ა) არ შეიძლება მათ ტერიტორიაზე არსებული სავალი გზების და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება შეიარაღებული ძალების გადასაყვანად და საბრძოლო მასალების გადასატანად, ტრანზიტითაც კი.

(ბ) სამხედრო საშუალებები მათ არავითარ შემთხვევაში არ დაიცავენ.

მუხლი 6

სანიტარული ზონები აღინიშნება თეთრ ფონზე გამოსახული წითელი ჯვრით (წითელი ნახევარმთვარით, წითელი ღოჭითა და მზით), რომლებიც განლაგებულია ზონის პერიმეტრზე და შენობებზე. ღამით შეიძლება მათი აღნიშვნა იგივე მეთოდითა და შესაბამისი განათების გამოყენებით.

მუხლი 7

მშვიდობიან დროს ან საომარი მოქმედებების დაწყებისას, ყოველი სახელმწიფო თითოეულ მაღალ ხელშემკერდ მხარეს გადასცემს იმ სანიტარული ზონების სიას, რომლებიც განლაგებულია მათ იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიაზე. ასევე, ის შეატყობინებს მათ ომიანობის პერიოდში შექმნილი ყოველი ახალი ზონის შესახებ.

მოწინააღმდეგე მხარის მიერ ზემოაღნიშნული შეტყობინების მიღების მომენტიდან ეს ზონა კანონიერად არსებულად ჩაითვლება.

თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარე ჩათვლის, რომ ამ შეთანხმების პირობები არ იყო შესრულებული, მას შეუძლია უარი განაცხადოს ზონის აღიარებაზე იმ მხარისადმი სასწრაფო შეტყობინების გზით, რომლის განკარგულებაშიც იმყოფება ეს ზონა, ან შეუძლია აღიაროს ეს ზონა მე-8 მუხლით გათვალისწინებული კონტროლის დაწესების პირობით.

მუხლი 8

ყოველი სახელმწიფო, რომელმაც აღიარა მოწინააღმდეგე მხარის მიერ შექმნილი ერთი ან რამდენიმე სანიტარული ზონა, უფლებამოსილია მოითხოვოს, რომ ერთმა ან მეტმა სპეციალურმა კომისიამ განახორციელოს კონტროლი აღნიშნულ ზონებზე, რათა შემოწმდეს არსებული პირობებისა და ვალდებულებების შესრულება. ამ მიზნით, სპეციალური კომისიის წევრებს ექნებათ ნებისმიერ დროს ნებისმიერ ზონაში ყოველგვარი შეფერხების გარეშე შესვლისა და მათში მუდმივი ცხოვრების უფლებაც კი. მათ უნდა შეუქმნან კონტროლის განხორციელების სფეროში მოვალეობების შესრულების ყველა პირობა.

მუხლი 9

იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური კომისიები დაადგენენ ისეთ ფაქტებს, რომლებიც, მათი თვალსაზრისით, ეწინააღმდეგება წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ პირობებს, მათ ამის შესახებ დაუყოფ-

ნებლივ უნდა შეატყობინონ სახელმწიფოს, რომლის განკარგულებაშიც იმყოფება აღნიშნული ზონა, და დააწესონ ხუთდღიანი ვადა ამ საკითხის გადასაწყვეტად. მათ ამის შესახებ შესაბამისად უნდა აცნობონ იმ სახელმწიფოს, რომელმაც ეს ზონა ცნო.

თუ დადგენილი ვადის ამოწურვისას სახელმწიფო, რომლის განკარგულებაშიც იმყოფება ეს ზონა, არ დაემორჩილება გაფრთხილებას, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი აღარ არის შეზღუდული წინამდებარე შეთანხმების იმ ნაწილით, რომელიც აღნიშნულ სანიტარულ ზონას შეეხება.

მუხლი 10

ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც კმნის ერთ ან რამდენიმე სანიტარულ ზონას ან ადგილს, ასევე ყველა მოწინააღმდეგე მხარე, რომელსაც ეცნობება ამ ზონის არსებობის შესახებ, დანიშნავს ან ნეიტრალურ სახელმწიფოს სთხოვს დანიშნოს მე-8 და მე-9 მუხლებში მითითებული სპეციალური კომისიის წევრები.

მუხლი 11

დაუშვებელია თავდასხმა სანიტარულ ზონებზე. ისინი ყოველთვის კონფლიქტის მონაწილე მხარეთა დაცვითა და პატივისცემით სარგებლობენ.

მუხლი 12

ტერიტორიის ოკუპაციის დროს, მასზე მდებარე სანიტარული ზონები განაგრძობენ დაცვით სარგებლობას და გამოიყენებიან დანიშნულებისამებრ.

მიუხედავად ამისა, ოკუპანტ სახელმწიფოს შეუძლია ამ ზონის დანიშნულების შეცვლა იმ პირობით, რომ ის უზრუნველყოფს მასში მყოფი პირების უსაფრთხოებას.

მუხლი 13

წინამდებარე შეთანხმება ასევე გამოიყენება იმ ადგილების მიმართ, რომლებსაც სახელმწიფო იმავე მიზნით იყენებს, რაც სანიტარულ ზონებს.

წინახელი

(პირადობის მოწმობის გამცემი სახელმწიფო და სამხედრო ხელისუფლება)

შეიარაღებულ ძალებს მიკუთვნებული სამედიცინო და სასულიერო პერსონალის

პირადობის მოწმობა

გვარი -----

სახელი -----

დაბადების თარიღი -----

წოდება -----

სამხედრო ნომერი -----

ამ მოწმობის მფლობელი იმყოფება მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის მფარველობის ქვეშ, როგორც -----

გაცემის თარიღი

მოწმობის ნომერი

უკანა ხელი

მფლობელის
ფოტო

მფლობელის ხელმოწერა ან თითის
ანაბეჭდები, ან ორივე

(მოწმობის გამცემი
სამხედრო
ხელისუფლების
რელიეფური ბეჭედი)

სიმაღლე	თვალები	თმა
---------	---------	-----

სხვა განმასხვავებელი ნიშნები
